ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:ბ48. 48260514
თარიღი:20/02/2026

„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის“ (ს/კ 421271206) 2026 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 14 იანვრის № 48.48260143 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის, „ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის ქვეპროგრამის ასიგნებების მუხლებს შორის თანხის გადანაწილებისა და ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 20 თებერვლის №48.4826051001 ბრძანების, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის “ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი“-ს (ს/კ 421271206) წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 12 დეკემბრის №ბ48.482334621 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე–3 მუხლის 1–ლი პუნქტისა და ა(ა)იპ „ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის“ დირექტორის 2026 წლის 17 თებერვლის №33/19 წერილის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეტანილ იქნას ცვლილება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის -„ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის“ (ს/კ 421271206) 2026 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 14 იანვრის №48.48260143 ბრძანებაში და ამ ბრძანებით დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვა ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით დანართი №1-ის შესაბამისად.
2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ა(ა)იპ „ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის“ დირექტორს (ნ.ნემსწვერიძე).
3. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის

საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი